

წერილის დანართი N1

N	შენიშვნა	პასუხი
1	<p>სკოპინგის ანგარიშის თანახმად, საწარმოს წარმადობა შეადგენს წელიწადში 20 ტონას (235 კგ/სთ), ხოლო ნარჩენების ინსინერაციის შემდგომ წარმოქმნილი ნაცრის წლიური რაოდენობა საერთო ნარჩენის 2-3%-ს შეადგენს (20 ტ ნარჩენის ინსინერაციის შემთხვევაში წარმოიქმნება 0.45 ტონა ნაცარი). მიმდინარე წლის 15 ივლისს გარდაბნის მუნიციპალიტეტში, სოფ. გამარჯვების ადმინისტრაციული ერთეულის შენობაში გამართულ სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვაზე საქმიანობის განმახორციელებელმა აღნიშნა, რომ საწარმოს წარმადობა 20 ტონაზე მნიშვნელოვნად მეტია (დაახლოებით 180-200 ტ/წ). ამასთან, დაფიქსირდა, რომ საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია გაზრდილი წარმადობით მუშაობა, ვინაიდან ახალი დანადგარი იძლევა ამის შესაძლებლობას. დაზუსტებას საჭიროებს საწარმოს წარმადობა (საათში, წელიწადში), მათ შორის მაქსიმალური დატვირთვის შემთხვევაში. გარდა ამისა, დაზუსტებას საჭიროებს წარმადობის შესაბამისად საწარმოში წარმოქმნილი ნაცრის (ფერფლის) რაოდენობა;</p>	<p>სკოპინგის დოკუმენტში მოყვანილია ნარჩენების საწარმოს მაქსიმალური წარმადობა, რომელიც შეადგენს 235 კგ/სთ-ს.</p> <p>კომპანიის სამუშაო დღეების რაოდენობა შეადგენს კვირაში 6-ს, ხოლო წელიწადში 300-ს (ოფიციალური დასვენების დღეების გათვალისწინებით). საერთო ჯამში მაქსიმალური სამუშაო საათების რაოდენობა წელიწადში უტოლდება 4800-ს (დღეში 16-საათიანი მუშაობის გათვალისწინებით), გარდა ამისა წელიწადში 100 საათი უნდა ვიანგარიშოთ სარემონტო სამუშაოებისა და სხვა გაუთვალისწინებელი მიზეზებით შეჩერებისათვის. შედეგად ექსპლუატაციაში საწარმო თეორიულად შეიძლება იყოს მაქსიმუმ 4700 საათის განმავლობაში, რაც უნდა გამრავლდეს საათობრივ წარმადობაზე და მივიღებთ 1 104 500 კგ-ს, ანუ 1104,5 ტონას - საწარმოს მაქსიმალური წლიური წარმადობას.</p> <p>რაც შეეხება რეალურ წარმადობას, ის წარმოდგენილ სკოპინგის დოკუმენტში მექანიკური ხარვეზით დაფიქსირებულია წელიწადში 18-20 ტონის რაოდენობით. რეალურად დაგეგმილია წელიწადში 180-200 ტონა ნარჩენის გადამუშავება. აღნიშნულ ციფრებს საფუძვლად უდევს ექსპლუატაციის შეჩერებამდე კომპანიის არსებული დატვირთვა და ნარჩენების წარმომქმნელ სხვადასხვა სამედიცინო კლინიკებთან თანამშრომლობა.</p>
2	<p>სკოპინგის ანგარიში არ მოიცავს ინფორმაციას წელიწადში სამუშაო დღეების/საათების რაოდენობის შესახებ;</p>	<p>იხ. პასუხი N1 შენიშვნაზე</p>



3	<p>წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია სასმელ-სამეურნეო და საწარმოო მიზნებისთვის წყალმომარაგების შესახებ. მათ შორის სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლების მართვის საკითხი;</p>	<p>სასმელ-სამეურნეო წყალმომარაგება ხორციელდება ინსინერატორის საწარმოსა და კომპანია GWP-ის შორის გაფორმებული სააბონენტო ხელშეკრულების საფუძველზე.</p> <p>სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლების შეგროვებისა და შემდგომი მართვის მიზნით, ტერიტორიაზე მოწყობილია ბეტონის ჰერმეტიკული ორმო, რომლის მოცულობა შეადგენს <math>8,27 \times 2,25 \times 2,0(h) \approx 37,22 \text{ მ}^3</math> -ს.</p> <p>მაშინ, როდესაც მოხდება ორმოს სამუშაო მოცულობის შევსება, ხელშეკრულების საფუძველზე, შესაბამისი ნებართვის მქონე ორგანიზაციის მიერ განხორციელდება ორმოს გაწმენდა და შემდგომი მართვა.</p>
4	<p>დეტალურად უნდა იყოს მოცემული საპროექტო ინსინერატორის ტექნოლოგიური პროცესის აღწერა (ნარჩენების ჩატვირთვიდან მის სრულ წვამდე);</p>	<p>იხ. წერილის დანართი N2</p>
5	<p>წარმოდგენილი უნდა იქნას ინფორმაცია გამწმენდ მოწყობილობაში გაწმენდილი ჩამდინარე წყლების შემდგომი მართვის შესახებ;</p>	<p>გამწმენდ მოწყობილობაში გაწმენდილი წყალი შეგროვებისა და შემდგომი მართვის მიზნით მოხდება ტერიტორიაზე მოწყობილ ბეტონის ჰერმეტიკული ორმოში, რომლის მოცულობა შეადგენს <math>8,27 \times 2,25 \times 2,0(h) \approx 37,22 \text{ მ}^3</math> -ს.</p> <p>მაშინ, როდესაც მოხდება ორმოს სამუშაო მოცულობის შევსება, ხელშეკრულების საფუძველზე, შესაბამისი ნებართვის მქონე ორგანიზაციის მიერ განხორციელდება ორმოს გაწმენდა და შემდგომი მართვა.</p>
6	<p>სკოპინგის ანგარიშის თანახმად, ნარჩენების მართვის საკითხები ასახულია სამინისტროსთვის შესათანხმებლად წარდგენილი ნარჩენების მართვის გეგმაში. წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია ექსპლუატაციის პირობების ცვლილების შესაბამისად, განსახორციელებელი სარეკონსტრუქციო და სამშენებლო სამუშაოების შედეგად წარმოქმნილი სამშენებლო ნარჩენების შესახებ. ასევე მოცემული უნდა იყოს ინფორმაცია ექსპლუატაციის ეტაპზე წარმოქმნილი სახიფათო და არასახიფათო ნარჩენების, მათ შორის საყოფაცხოვრებო ნარჩენებისა და წარმოქმნილი ნაცრის საბოლოო მართვის შესახებ.</p>	<p>იხ. წერილის დანართი N3</p>

**შპს „საქართველოს სამედიცინო და საყოფაცხოვრებო  
ნარჩენების უტილიზაციის ცენტრი ეკოლოგის“ კუთვნილი ნარჩენების  
გადამუშავების საწარმო**

**ტექნოლოგიური ციკლის აღწერა**

**1. ინფორმაცია ნარჩენების მიღებისა და დროებითი განთავსების შესახებ**

კომპანია ინსინერაციას დაქვემდებარებული ნარჩენის ტრანსპორტირებას კლიენტის ორგანიზაციებიდან (სამედიცინო დაწესებულებებიდან) ახორციელებს მისი კუთვნილი ავტოტრანსპორტით. სამედიცინო ნარჩენი შეფუთულია ჰერმეტიკულად თავმოკრულ პოლიეთილენის ტომრებში, რომლებსაც თან ახლავს ეტიკეტი. ეტიკეტზე განთავსებულია ინფორმაცია ნარჩენის წარმომქმნელი ორგანიზაციის, ნარჩენის წარმოქმნის თარიღის, ნარჩენის კატეგორიის, ასევე მასის შესახებ (აღნიშნული პროცესი ხორციელდება ნარჩენების მართვის ეროვნული კანონმდებლობის შესახებ).

საწარმოს ტერიტორიაზე შემოსული ნარჩენი განადგურებამდე გროვდება სპეციალურად გამოყოფილ ოთახში (რომელიც საწარმოს რეკონსტრუქციის ფარგლებში დაემატა შენობას) და ყოვნდება ინსინერაციამდე. აღნიშნული ოთახი ემიჯნება უშუალოდ ინსინერატორის იზოლირებულ სივრცეს.

ნარჩენების სათავსის გადასვლის პრევენციის მიზნით, ნარჩენების ახალი პარტიის ტრანსპორტირების განხორციელებამდე ხდება არსებული გადასამუშავებელი ნარჩენის მოცულობის გათვალისწინება.

**2. ინფორმაცია დანადგარის ფუნქციონირების შესახებ \***

მეორადი ინსინერაციის კამერა და სავენტრალაციო დანადგარი დამონტაჟებულია მეორადი შემრევი ინსინერაციის კამერაში. მაღალ ტემპერატურაზე აალებადი აირი,

*\* გადმოტანილია სკოპინგის წარმოდგენილი დოკუმენტიდან*



## დანართი N2

შერეული მბოლავ აირში, ფაქტობრივად სრულად იწვება. გაზიფიკატორის (აირის წარმომქმნელი) მიერ წარმოქმნილი აირი ეფექტურად ერევა ჰაერს, იწვება და გამორციხავს გახურებულ აირში არსებული ნახშირბადის მასალის გაფრქვევას და დაყოვნებულ წვას.

როდესაც მბოლავი აირი შედის მაღალი ტემპერატურის გამოსაწვავ კამერაში, შეიძლება ისევ სრულად დაიწვას გამოსაწვავ კამერაში. მბოლავი აირის მტვრის მოსაშორებლად გამოიყენება როტაციული ჰაერის ნაკადი, რომელსაც აქვს ტანგენციური შესასვლელი და წვის დამხმარე ჰაერის ტანგენციური შესასვლელი.


მბოლავი აირის ღუმელში დაყოვნების დრო 2 წამზე მეტია, ასე რომ წვადი აირი მბოლავ აირში და წვადი ნივთიერებები გაფრქვეულ ნაცარში სრულად იწვება. მშრალი გამონაბოლქვი აირის გამწმენდი აღჭურვილობა საკვამურის ზედა ბოლოში განოიყენება ინსინერაციით წარმოქმნილი წყალბადის ქლორიდისთვის და გოგირდის ოქსიდებისთვის, რომლის შთანთქმით დამუშავების შემდეგ, კომპონენტები, როგორცაა მბოლავი აირის სუნი, იშლება მაღალ ტემპერატურაზე. მბოლავი აირის განწმენდი სისტემა აღჭურვილია კალციუმის ჰიდროქსიდის ფილტრებით, რაც ანეიტრალებს მჟავის შემცველ აირებს, ისე რომ მავნე კომპონენტები მბოლავ აირში მინიმუმამდე შემცირდეს.

ინსინერატორი იმართება ავტომატური პროგრამული კონტროლით, რასაც მინიმუმამდე დაყავს ადამიანური ჩართულობა. ინსინერატორის კარს და მტვრის გამწმენდ კარს აქვს სრულად დალუქული სტრუქტურა, ორმაგი მჭიდრო პლომბის ფორმით, ისე რომ ინსინერაციის დროს ღუმელი სრულად იზოლირებულია მისი გარე ზედაპირისგან, რაც ქმნის ნეგატიური წნევის წვას, ეს კი გამორიცხავს მეორადი დაბინძურების შესაძლებლობას, განსაკუთრებით ინფექციური საშიში სამედიცინო ნარჩენების დამუშავებისას, რაც აშკარას ხდის დანადგარის უპირატესობას.

*\* გადმოტანილია სკოპინგის წარმოდგენილი დოკუმენტიდან*

დანართი N2

ფიგურა Error! No text of specified style in document..1 WFS-300 ტიპის ინსინერატორი



ცხრილი Error! No text of specified style in document..1 ინსინერატორის პარამეტრები

N	პარამეტრის დასახელება	განზომილება	მონაცემი
1	წარმადობა	კგ/საათი	235
2	საწვავი	N/A	დიზელი ან ბუნებრივი აირი
3	საჭირო ძაბვა	ვოლტი	220
4	სიგრძე	მეტრი	2,10
5	სიგანე	მეტრი	1,55
6	სიმაღლე	მეტრი	3,80
7	წვის ტემპერატურა	°C	1000-1200
8	საკვამურის სიგრძე	მეტრი	6
9	საკვამურის გარე დიამეტრი	სანტიმეტრი	40

\*გადმოტანილია სკოპინგის წარმოდგენილი დოკუმენტიდან



**ინფორმაცია მშენებლობის და ექსპლუატაციის ეტაპზე წარმოქმნილი სახიფათო და არსახიფათო ნარჩენების, მათ შორის საყოფაცხოვრებო ნარჩენებისა და წარმოქმნილი ნაგრის საბოლოო მართვის შესახებ**

შპს „საქართველოს სამედიცინო და საყოფაცხოვრებო ნარჩენების უტილიზაციის ცენტრი ევოლოგი“-ს ინსინერატორის საწარმოს რეკონსტრუქციის ეტაპზე (2021) მოსალოდნელი ნარჩენების შესახებ მონაცემები

ნარჩენის კოდი	ნარჩენის დასახელება	ნარჩენის ფიზიკური მდგომარეობა	სახიფათო დიამ/არა	სახიფათო მის მახასიათებელი	წარმოქმნილი ნარჩენების მთლიანობით რაოდენობა წლების მიხედვით	განთავსება/ აღდგენის ოპერაციები	კონტრაქტორი კომპანია	№
17 01 02	აგურები	მყარი	არა		2000	D1	მყარი ნარჩენების მართვის კომპანია, მარნეულის პოლიგონი	5

შპს „საქართველოს სამედიცინო და საყოფაცხოვრებო ნარჩენების უტილიზაციის ცენტრი ევოლოგი“-ს ინსინერატორის საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე (2021-2022-2023) მოსალოდნელი ნარჩენების შესახებ მონაცემები

ნარჩენის კოდი	ნარჩენის დასახელება	ნარჩენის ფიზიკური მდგომარეობა	სახიფათო დიამ/არა	სახიფათო მის მახასიათებელი	წარმოქმნილი ნარჩენების მთლიანობით რაოდენობა წლების მიხედვით (კმ)	განთავსება / აღდგენის ოპერაციები	ნარჩენის მართვა/ კონტრაქტორი კომპანია	№
					2021-2022-2023	0		

დანართი N3

10 01 14*	იბინურაციის/დაწვით შედეგად მიღებული მძიმე ნაცარი, წიდა და ზოილერის მტვერი, რომელიც შეიცავს სახიფათო ნოვოთორუბების	მყარი	დაახ	H5; H6	500	1000	1000	R13	შპს სანიტარი	1
10 01 15	იბინურაციის/დაწვის შედეგად მიღებული მძიმე ნაცარი, წიდა და ზოილერის მტვერი, რომელსაც არ ეხედებით 10 01 14 პუნქტში	მყარი	არა		1500	3500	3500	D1	მყარი ნარჩენების მართვის კომპანია, მარნეულის პოლიგონი შპს	2
18 01 03*	ნარჩენები, რომელთა შეგროვება და განადგურება ექვემდებარება სპეციალურ მოთხოვნებს ინფექციების გავრცელების პრევენციის მიზნით	მყარი	არა	H5	50	50	50	D10	ნარჩენების უტილიზაციის ცენტრი "კოლოგი"	6
20 03 01	შერეული მუნიციპალური ნარჩენები	მყარი	არა		1000	2000	2000	D1	მყარი ნარჩენების მართვის კომპანია, მარნეულის პოლიგონი	7

დამატებითი განმარტებები:

- ვინაიდან ამჟამად კომპანიას შერეობული აქვს საქმიანობა და არ ახორციელებს ნარჩენების იბინურაციას, ნარჩენი, რომელიც კომპანიის ფუნქციონირებისას წარმოიქმნება და რომლის გადამუშავების ნებართვის აღებასაც კომპანია გეგმავს ახალი გზშ პროცედურის შემდეგ (ასეთია 15 02 02\*, 13 05 03\* კოდების ნარჩენი), არ არის შესული ნარჩენების მართვის გეგმაში. აღნიშნული კოდების შესახებ დამატებით ინფორმაციას და შესაბამისად დაკორექტირებულ გეგმას გარემოს დაცვისა და სოფლის



მუხრანუბის სამინისტროს ნარჩენებს მართვის სამსახურს კომპანია წარუდგენს საწარმოს ფუნქციონირების აღდგენის შემდგომ (აღნიშნული საკითხი შეთანხმებულია ნარჩენების მართვის სამსახურთან კომუნიკაციის ფარგლებში);

2. რაც შეეხება ინსინერაციის შედეგად წარმოქმნილი ნაგრის (წილის) მართვას, როგორც ეს სკოპინგის დოკუმენტშია აღწერილი, ნარჩენის სრულად დაწვის შედეგად წარმოქმნილი ფერფლი ჩაიყრება ჰერმეტიკულად დახურულ კასრში, რითაც მოხდება ფერფლის შემგროვებელ სპეციალურ კონტეინერამდე ტრანსპორტირება. კასრიდან ფერფლი ჩაიყრება კონტეინერში, რომელსაც ექნება სპეციალური ჰერმეტიკული სარქველი. აღნიშნული პროცედურა უზრუნველყოფს ფერფლის უსაფრთხო განთავსებას კონტეინერში და გამოირიცხავს მის უკონტროლო გაბნევა. მას შემდეგ რაც ჰერმეტიკული კონტეინერის მოცულობის დაახლოებით ¼ შეივსება ნაგრით, განხორციელდება ნარჩენების ლაბორატორიული ანალიზი, რის საფუძველზეც მოხდება ნარჩენის შემდგომი მართვის საკითხის გადაწყვეტა მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად, იმის მიხედვით თუ ქვემოთ მოყვანილი კატეგორიიდან რომელს მიეკუთვნება ნარჩენის კონკრეტული პარტია:

- \*10 01 14 - ინსინერაციის/დაწვის შედეგად მიღებული მძიმე ნაგარი და წიდა, რომელიც შეიცავს საბიფათო ნივთიერებებს (ასეთ შემთხვევაში ფერფლი ჩაბარდება შპს სანიტარს, რომელიც ფლობს აღნიშნული ნარჩენის დასაწყობების შესაბამის ნებართვას)
- 10 01 15 ინსინერაციის/დაწვის შედეგად მიღებული მძიმე ნაგარი, წიდა და ბიოლერის მტვერი, რომელსაც არ ვხვდებით 10 01 14 პუნქტში (ასეთ შემთხვევაში ნარჩენი განთავსდება მუნიციპალური ნარჩენების პოლიგონზე).